



## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 20

### განკარგულება

27/02/2020

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (საკ.კოდი 29.10.37.366) მეორე სართულზე განთავსებული 12.96 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, ერთი წლის ვადით, იჯარის უფლებით გაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№31/512; 05/02/2020) წერილი, რომელშიც „სოკარ ჯორჯია გაზის“ იმერეთის რეგიონალური ოფისის წყალტუბოს სერვის ცენტრის მენეჯერის ბიქტორ ბალანჩივაძის წერილის საფუძველზე ითხოვს თანხმობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (საკ.კოდი 29.10.37.366) მეორე სართულზე განთავსებული 12.96 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, ერთი წლის ვადით, იჯარის უფლებით გაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (საკ.კოდი 29.10.37.366) მეორე სართულზე მდებარე 12.96 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, ერთი წლის ვადით, იჯარის უფლებით გაცემის შესახებ.
2. ამ განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მდებარე 30.07 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, ერთი წლის ვადით, იჯარის უფლებით გაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის №36 187 განკარგულება.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

